განკარგულება:**გ-87. 87240086**
თარიღი:**08/01/2024**

განკარგულება №2

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ კასრისწყალში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 158039 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ -50.30.31.141) განმეორებითი ელექტრონული აუქციონის წესით, 30%-იანი ფასდაკლებით სარგებლობაში გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 119-ე მუხლის მე-10 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და 38-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ კასრისწყალში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 158039 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.30.31.141) განმეორებითი ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობაში გადაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური 30%-იანი ფასდაკლებით - 4785.00 (ოთხიათას შვიდას ოთხმოცდახუთი) ლარის ოდენობით, ხოლო სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა -3 (სამი) წლით.

2. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი